

**ოქმი #7**  
**ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს**  
**ბიუროს რიგგარეშე სხდომის**

2019 წელი, 12 მარტი  
ქ. ოზურგეთი  
12.00 – 13.00 საათი

**თავმჯდომარეობდა:** დავით დარჩია- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარე

**ესწრებოდნენ:** მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს წევრები:  
გ.დურჯუმელიძე, ლ. საჯაია, ლ.ბიგვავა, გ.კილაძე, გ.ჩაგანავა,  
ტ.აროშიძე, ბ.დოლიძე, ლ.მგელაძე, გ.თოიძე, გ.ჩავლეშვილი.

მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს აპარატის  
პასუხისმგებელი მუშაკები.  
მასმედიის წარმომადგენლები.

სხდომის თავმჯდომარე დ.დარჩია მიესალმა ბიუროს წევრებსა და დამსწრეთ, მიაწოდა ქვორუმზე ინფორმაცია, 15 წევრიდან სხდომას ესწრება 11 წევრი, სხდომა უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას. გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

**დღის წესრიგი**

1.ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული (ს/კ 26.26.42.003.01.508) ქალაქ ოზურგეთში მ.კოსტავას ქ.N1 მდებარე 46.2 კვ.მ. უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ.

**მომხს:** დ.დარჩია

**თანამომხს:** ალ.სურგულაძე

ალ.მამეშვილი

გ.კილაძე

ბიუროს წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს აღნიშნული განკარგულების პროექტის საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში შეტანას.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ გ.ღურჯუმელიძემ განაცხადა, რომ მერიის მიერ ინიცირებულ , საკრებულოს მიერ განსახილველ საკითხებს ხშირად არ ახლავს შესაბამისი სამართლებრივი აქტების პროექტები, მერიამ მომავალში უნდა უზრუნველყოს საკითხების არსებული კანონმდებლობის შესაბამისად წარმოდგენა.

### გადაწყვიტეს:

1.ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომის დღის წესრიგში წარმოდგენილი საკითხი „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული (ს/კ 26.26.42.003.01.508) ქალაქ ოზურგეთში მ.კოსტავას ქ.№1 მდებარე 46.2 კვ.მ. უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ შეტანილ იქნას საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში.

2.მუნიციპალიტეტის მერიამ (კ.შარაშენიძე) უზრუნველყოს მუნიციპალიტეტის საკრებულოში მერიის მიერ ინიცირებული საკითხების კანონმდებლობით განსაზღვრული ვადებითა და ნორმატივებით წარმოდგენა.

დავით დარჩია

საკრებულოს თავმჯდომარე  
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

